# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 17 სექტემბერი 2005 №213 (2536) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



## პრინცი და ფეხბურთი

ინგლისურ სახეობას უილიამი გაუძლებს

5



## ქართული ფინალის მოლოდინში

მასპინძლებს ბორჯომის თასი მოუახლოვდათ

13



## ესპანელები ისევ ჩაჩოჩდნენ

უელტას XIX ტური

13

# ევროპა აქვანში ჩაწვა

გუშინ ყოფილ იუგოსლავიაში, კერძოდ, სერბეთ-ჩერნიგორიაში კონტინენტის მთავარი საკალათბურთო შეჯიბრება, ევროპის ჩემპიონატი დაიწყო. ბებერი კონტინენტის 16-მა საუკეთესო გუნდმა 12 დღის თავზე საუკეთესოთა შორის საუკეთესო უნდა გამოავლინოს და ასეთ დროს ფავორიტების ჩამოთვლაა უპრიანი.

საქმეში ჩახედული კაცი იკითხავს, ჩემპიონატს სერბეთი მასპინძლობს — ევროპის საკალათბურთო ნიჭის აკვანი და, განა სხვა ფავორიტი არსებობს ამ ჩემპიონატზეო.

მართლაც, სერბეთს ამ ტურნირზე ვერავინ გამოეკიდება, რადგან, საკუთარ კედლებს რომ თავი დავანებოთ, ამ ქვეყნის ნაკრები რეალურად ყველა დანარჩენ გუნდზე ძლიერია.

ამ ევროპირველობაზე სარეკორდოდ ბევრი ნბა-ელია და ამ მხრივაც სერბეთის ნაკრებს ვერავინ შეედრება. მასპინძლებს ხუთი ოკეანგაღმელი ჰყავთ გუნდში და აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველაზე მაგარი ნბა-ელი, პრედრაგ სტოიაკოვიჩი სერბებს ამჯერად ვერ დაეხმარება.

თუ დანაკლისია, ლიტვაზეც უნდა ითქვას, რომელსაც საუკეთესო მოთამაშე, წინა ევროჩემპიონატის ტრიუმფატორი შარუნას იასიკევიჩუსი აკლია. ლიტვა მოქმედი ჩემპიონია, მაგრამ ტიტულის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება. ბალტიისპირელებს ჩემპიონობას მასპინძელი სერბები თუ არ ჩამოართმევენ, არიან სხვა „ცოფიანები" — საფრანგეთის, სლოვენიის, იტალიის და ესპანეთის გუნდები...

ერთი სიტყვით, ევროჩემპიონატი დაიწყო და მარჩიელობას ჯობს, ტურნირს თვალი გავადევნოთ და სიამოვნებასთან ერთად 25 სექტემბერს ახალი ჩემპიონს მივესალმოთ.




AFP ნოვო სადიკან

# სიურპრიზი ამერისგან

## მიხეილ ჯიშკარიანმა დრო ბურთივით დაატრიალა




ბაჩო კორნელიანის ფოტო



მიხეილ ჯიშკარიანი და გიორგი ჩიხრაძე

*ტანხმელი, სხარტი, გონიერი — 90-იან წლებში ასეთი გვახსოვს მიხეილ ჯიშკარიანი, სოხუმელი კაცი, პირველი ქართველი, ჩემპიონთა ლიგაში რომ უთამაშია.*

*მიხეილ ჯიშკარიანი აღნაგობით დღესაც ისაა, რაც ფეხბურთელის კარიერის დასაწყისში, თუმც ახლა 35 წლისაა და სამი წლის წინანდელ გადაწყვეტილებასაც ნანობს — მოედანს არ უნდა ჩამოვშორებოდიო, ამბობს. ეს კიდევ არაფერი, მთავარი სხვაა. მიხეილ ჯიშკარიანმა თავისი მაინც ირწმუნა და მოედანს დაუბრუნდა. გუშინ მას ხელახალი დებიუტი ჰქონდა, საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში თბილისის „ამერის 2"-ის 30-ნომრიანი მაისურა მოირგო და ტყიბულის „მეშახტესთან" 90 წუთი ითამაშა, გოლიც გაიტანა და სხვაც დაარწმუნა, რომ კიდევ ბევრი შეუძლია.*

*„ამერმა" მწვრთნელის გიორგი ჩიხრაძის თანაშემწე მიხეილ ჯიშკარიანი ჩემპიონატის განაცხადში გუშინწინ შეიყვანა, გუშინ ფარმკლუბში ათამაშა და დღეს უკვე უმაღლეს ლიგაში „ცხინვალთან" მატჩისთვის ამზადებს.*

*დანარჩენს კი მიხეილ ჯიშკარიანი თავად იტყვის, მოედანზეც და აგერ, ახლაც...*

# სურვილის მატარებელი

## მიხეილ ჯიშკარიანმა დრო ბურთივით დაატრიალა

— ფეხბურთის სიყვარულმა დამაბრუნა მოედანზე. როცა ფეხბურთს შევეშვი, 32 წლის ვიყავი და ბოლო სამი წელი რაღაც უკმარისობის გრძნობა მქონდა, სულ ვფიქრობდი, რომ ფეხბურთს ნაადრევად ჩამოვშორდი. მაშინდელი გადაწყვეტილება კი იძულებითი იყო, მუხლის ჯვარედინი იოგები მაწუხებდა და თამაში აღარ შემეძლო, თუმც მერე არც მიმკურნალია, ტრავმა თავისთავად მოშუშდა. ვეტერანთა ტურნირებშიც ვითამაშე.

**— ფეხბურთში მიბრუნებაზე დიდხანს ფიქრობდი?**

— მთავარი ისაა, რომ „ამერმა" ჩემი ირწმუნა, თავად კი ვიგრძენი, რომ თამაში კიდევ შემიძლია და შანსის ბოლომდე გამოყენება გადავწყვიტე.

**— მერე და, ახლა, პირველი მატჩის შემდეგ რას იტყვი?**

— რას ვიტყვი და, მოედანზე თუ ხარ, ბოლომდე უნდა დაიხარჯო და ყოველ მატჩში შესაძლებლობის მაქსიმუმის გამოვლენას ეცადო. „მეშახტესთან" შეხვედრამდე არც კი მიფიქრია, რომ ჯანი 90 წუთს გამყვებოდა, თუმც ჩემდა გასახარად, თავიდან ბოლომდე თამაში შევძელი. ისე, ნუ დავივიწყებთ, „ამერი 2" — „მეშახტე" პირველი ლიგის მატჩი იყო.

**— მაგრამ, უკვე უმაღლესი ლიგის მატჩისთვისაც ემზადები...**

— უმაღლეს და პირველ ლიგებს შორის სხვაობა ყოველთვის იყო და დღესაც ასეა. უმაღლეს ლიგაში გაცილებით მაღალი ტემპია.

**— ანუ?**

— ვნახოთ, ძველმა ტრავმამ თუ არ შემაწუხა, უმაღლეს ლიგაშიც ვითამაშებ, ყოველ შემთხვევაში, საამისოდ სერიოზულად ვემზადები და იმედი მაქვს, ქომაგიც კმაყოფილი დარჩება. მოედანზე დავბრუნდი და მსურს, პირველ ყოვლისა, საკუთარ თავს დავუმტკიცო, რომ ფეხბურთის თამაში კიდევ შემიძლია.

**— ღმერთმა ხელი მოგიმართოს. მოდი, ახლა ძველი ამბები გავიხსენოთ. სოხუმის „ცხუმიდან" პირდაპირ კიევის „დინამოში" აღმოჩნდი და ჩემპიონთა ლიგაშიც ითამაშე...**

— „ცხუმში" ორი სეზონი ვითამაშე და კიევის „დინამოში" 1993 წელს გადავედი. მაშინ კიეველებს მიხეილ ფომენკო თავკაცობდა, ვისაც ლანჩხუთის „გურიადან" ვიცნობდი. ფომენკო „დინამოს" მწვრთნელად რომ დაინიშნა, მეორე დღესვე დამიკავშირდა და კიევში ჩასვლა მთხოვა. საწინააღმდეგო, აბა, რა უნდა მქონოდა, ფომენკო კარგად მიცნობდა და კიევში ჩასვლისთანავე „დინამოსთან" კონტრაქტი გავაფორმე. კიევის „დინამოს" შემადგენლობაში ვითამაშე კიდეც ჩემპიონთა ლიგაში. თუმც კიევს წელიწადნახევარში დავშორდი, „დინამოში" მწვრთნელი შეიცვალა, მერე კონკურენციაც უფრო გაიზარდა და რუსეთის „კამაზში" წავედი. ახლა ვფიქრობ, რომ ვიჩქარე, კარიერაში ნაბიჯი უკან გადავდგი.

**— კიევის „დინამო", „კამაზი", „ზილი"...**

— არა, „ზილამდე" სარატოვის „სოკოლი" იყო, თუმცა ტრავმა სწორედ „ზილში" თამაშისას მივიღე.

**— სამწლიანი შესვენებაც ამის შემდეგ გამოგივიდა?**

— დიახ, „ზილის" შემდეგ, ფაქტობრივად, აღარ მითამაშია.

**— მიშა, არ ფიქრობ, რომ ისეთი ფეხბურთი ვერ ითამაშე, როგორიც შეგეძლო, როგორსაც შენგან ქომაგი ელოდა?..**

— კი ვფიქრობ, მაგრამ... გული მწყდება, ბევრი შეცდომა მქონდა... თუმცა ახლა რა აზრი აქვს ლაპარაკს, მატარებელი უკვე წავიდა. რაც ვითამაშე, ამაზეც მადლობელი ვარ. ისე, ჩემს თაობას ცუდ დროს მოუწია ფეხბურთის თამაშმა — 21 წლის ვიყავი, როცა ქვეყანა დაიქცა, თამაშს კი სწორედ მაშინ ვიწყებდი.

**— ყოფილ ცხუმელებთან დღეს თუ გაქვს ურთიერთობა?**

— როგორ არა. თემურ მალანია, ზურაბ ფარულავა, დიმიტრი პაპავა, გიორგი ჩიხრაძე, გრიგოლ ცაავა — ჩვენ ახლო მეგობრები ვართ.

**— სოხუმის დინამოელებთან?**

— ახრიკ ცვეიბა ახლახან ჩვენი მეგობრის ქორწილშიც კი იყო თბილისში ჩამოსული. თარბა, ხაგბა, ძმები აჯინჯალები — მათთანაც ვმეგობრობთ. ვიცი, რომ მათ ჩვენ ვენატრებით, სურთ ჩვენთან თბილი ურთიერთობა, თუმცა, სამწუხაროდ, შეხვედრას ხშირად ვერ ვახერხებთ.

**— მოედანს დღეს დაუბრუნდი, თუმცა „ამერში" უკვე ექვსი თვეა, მუშაობ, შენი მეგობრის, გიორგი ჩიხრაძის თანაშემწე ხარ. აპირებ სამწვრთნელო საქმის გაგრძელებას?**

— არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით, არაფერია გამორიცხული.

**— „ამერში" როგორ მოხვდი?**

— კლუბის ხელმძღვანელობის მიწვევით. პროფესიონალების გუნდია და შემთხვევით არავის იწვევენ. „ამერის" პრეზიდენტს ზურაბ ფოცხვერიას იმ დროიდან ვიცნობ, თბილისის „დინამოში" რომ ვთამაშობდი. გადაუჭარბებლად ვიტყვი, ისეთი პირობები, როგორიც დღეს „ამერს" აქვს, რუსეთის ზოგიერთი გუნდისთვისაც კი სანატრელია. ამ კლუბში პრობლემა ფაქტობრივად არ არის, მხოლოდ ბოლომდე უნდა დაიხარჯო. თავადაც გამიმართლა, ასეთ კლუბში რომ მოვხვდი.

**— მერე და, კლუბთან ერთად რას აპირებ?**

— საქართველოს თასის მოპოვებას და ჩემპიონატში საპრიზო ადგილზე გასვლას — ჩვენ ამის ამბიცია გვაქვს.

**— ამბიცია კარგია, მაგრამ რეალურად თუ აქვს „ამერს" საამისო ძალა?**

— საქართველოს ჩემპიონატში „მილანი" და „იუვენტუსი" არ თამაშობენ. ვინც იბრძოლებს და მოინდომებს, მისთვის ყველაფერი რეალური იქნება. „ამერიც" იბრძვის და ინდომებს. საქართველოს ჩემპიონატში ხუთი-ექვსი გუნდი მეტნაკლებად ერთ დონეზეა და როცა რეალურ ძალაზე მეკითხებით, გიპასუხებთ — დიახ, „ამერი" თასისთვის და საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებს, რატომაც არა...

**ქობა ინასარიძე**



ტყიბულის „მეშახტესთან" გუშინდელ მატჩში მიხეილ ჯიშკარიანი (შუაში) მოედანს დაუბრუნდა

### ინგლისი

ჩემპიონატი
IX ტური
პრესტონი 0:1 სტოკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### იტალია

სერია B
IV ტური
ვერონა 1:0 კატანძარო
კროტონე 0:2 ვიჩენცა

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
V ტური
დინამო 1:1 ბრაუნშვაიგი
ფრაიბურგი 0:0 კარლსრუე
ფიურტი 1:3 ბოხუმი
ოფენბახი 2:5 მიუნხენი
უნტერჰახინგი 1:1 აუე

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
IX ტური
კარლ ცაისი 1:0 ვატენშაიდი
მიუნსტერი 0:2 კიოლნი (მ)

სამხრეთ რეგიონალლიგა
VII ტური
შტუტგარტი (მ) 4:2 კარლსრუე (მ)
ჰოფენჰაიმი 1:0 ბაიერნი (მ)
მიუნხენი (მ) 0:0 ლაუტერნი (მ)

### საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
VIII ტური
დიჟონი 0:0 ლორიანი
ბრესტი 0:1 ამიენი
შატორუ 1:1 ვალანსიენი
გრენობლი 0:0 ისტრი
კრეტეი 2:1 გენგამი
გენიონი 3:3 სეტე
ბასტია 4:0 კლერმონი
მონპელიე 0:0 რეიმსი
ლე ავრი 4:0 ლავალი

### პორტუგალია

სუპერლიგა
IV ტური
ნავალი — ბოავიშტა *გადაიდო დამთავრდა*

### ჰოლანდია

ერედივიზიონი
V ტური
დენ ჰააგი 0:0 ტვენტე

მეორე დივიზიონი
VIII ტური
ექსელსიორი 1:0 მაასტრიხტი
ეინდჰოვენი 1:2 ვოლენდამი
დენ ბოსხი 2:0 გრააფსხაპი
კამბური 0:0 ჰელმონდი
ვეენდამი 2:0 დორდრეხტი
აპელდორნი 2:3 ემენი
ვენლო 2:0 ოსი
ტელსტარი 1:3 ზვოლე
სიტარდი 2:3 ალმერე
იგლსი 3:0 ჰაარლემი

### თურქეთი

სუპერლიგა. VI ტური
სივასფორი 2:1 ტრაბზონი

### ბელგია

იუპილერლიგა. VI ტური
მუსკრონი 1:2 გენტი

### ავსტრია

პირველი დივიზიონი
XI ტური
კუფშტაინი 0:2 ალტახი
კერნტენი 1:3 შვაინშტადტი
კაპფენბერგი 2:3 ლინცერი
გრატკორნი 0:2 ავსტრია (მ)
ავსტრია (ლ) 2:1 ლეობენი

### ირლანდია

პრემიერლიგა
XXV ტური
დროჰედა 1:1 სენტ პატრიკსი
ბრეი 0:1 დუბლინი
ბოჰემიანსი 2:3 დერი
შელბურნი 5:0 უოტერფორდი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე

6 ტური ანონსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გადაიხადეთ 80 თეთრი

## დებიუტი გორში, ამერი უბანში, ბომბარდირული ბოლნისში

**მეჩვიდმეტე** ეროვნულის მეექვსე ტურმა, წესით და რიგით, ლიდერი არ უნდა შეცვალოს, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საინტერესო ამბებს არ უნდა ველოდოთ.

ბოლნისის „სიონი" თელავის „კახეთთან" მატჩში ფავორიტია და ალბათ მოიგებს კიდეც. აქ „კახეთის" შესაძლებლობებს როდი ვაკნინებთ, უბრალოდ, „სიონია" კარგ იშტაზე, ასე ვთქვათ, თავისი თამაში დაჭერილი აქვს და თან შინ თამაშობს. მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „კახეთი" სტუმრად უშანსო სულაც არ არის — მეორე ტურში ხომ კახელებმა სწორედ სტუმრად დაამარცხეს „ცხინვალი". ბოლნისელებს დისკვალიფიცირებული მცველი თენგიზ ჩიკვილაძე არ ეყოლებათ.

„ბორჯომი" — „ზესტაფონი" ოთხი დღით გადადებულია და რახან ჩემპიონატის ბორჯომელი ბომბარდირი გიორგი ქორიძე მოგვიანებით ითამაშებს, სიონელ ჯაბა დვალს მეგოლეებში დაწინაურების შანსი აქვს — დვალს ოთხი გოლი აქვს გატანილი, ქორიძეს კი ერთით მეტი.

გახდება „ამერი" უბნის გუნდი? ეს „ამერის" წარმატებებზეა დამოკიდებული. „ამერი" გლდანში თამაშობს და საშინაო მატჩებზე ქომაგი არ აკლია, მაგრამ უფრო მეტი გულშემატკივრის მიზიდვის შანსიც აქვს — დედაქალაქის პერიფერიებში უფრო შესაძლებელია, რომ ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე ხალხი ბლომად მიიყვანო.

დღეს „ამერის" მეტოქე „ცხინვალია", რომელმაც მიმდინარე ჩემპიონატში სტუმრად ორჯერ მოიგო. წინა ტურში „ცხინვალი" თბილისში „დინამოსთან" დამარცხდა, თუმც მრისხანე მეტოქეს მისი დაჯაბვნა ძალიან გაუჭირდა. ასე რომ, გლდანში დღეს უნდა დაცხეს.

ქუთაისის „ტორპედოს" მეჩვიდმეტე ეროვნულში მოგების გემო ჯერ არ გაუსინჯავს, თუმც საგოლე მომენტების შექმნას რევაზ ბურკაძის გუნდი ახერხებს და იქნებ, ნავსიც გატეხოს. მაგრამ რა ვუყოთ გამოცდილებას, რითაც სოხუმური „დინამო" რიონისპირელებს დიდად ალემატება?! ერთი სიტყვით, ქუთაისში საინტერესო ბურთაობა უნდა გაჩაღდეს, სოხუმელებს გამოცდილი, მაგრამ არცთუ ოპტიმალურ ფორმაში მყოფი ფეხბურთელების გარდა კარგად მორბენალი ჯეელებიც ჰყავთ. აქვე დავძენთ, რომ ამ ჩემპიონატში ერთადერთი გამარჯვება სოხუმელებმა სტუმრად მოინაგრეს „სპარტაკთან".

გორში ოთარ გაბელიას დებიუტი იქნება „ბათუმის" მთავარი მწვრთნელის რანგში. ბათუმელებს ახლა ფული არ აკლიათ და ყველაზე უფრო ამ მომენტისთვის გონიერი, ილბლიანი მწვრთნელი სჭირდებათ. გაბელიამ წინა სეზონში „ტორპედოში" მუშაობისას დაამტკიცა, რომ კონკრეტული თამაშისთვის გუნდის ჩინებულად მომზადება შეუძლია და მისგან ახლა იგივეს ბათუმელები ელიან. ისიცაა, რომ გორის „დილას" 20 აგვისტოს მერე ქულა ვერ აუღია და ზღვისპირელებსაც შმაგად დაუხვდება. „ბათუმს" დისკვალიფიცირებული გამთამაშებელი ვიტალი დარჩიძე არ ეყოლება.

„ლოკომოტივმა" სუპერთასზე „დინამოსთან" კი წააგო, მაგრამ ჩემპიონატში წაუგებელია და ამბიციაც პატარა როდი აქვს. სეზონის დაწყებამდე „ლოკომოტივის" დამრიგებელმა ნოდარ აკობიამ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე თქვა, არ ვეთანხმები იმ აზრს, რომელიც თბილისის „დინამოს" უეჭველ ჩემპიონობას ლალადებსო. მოკლედ, ხვალ „ლოკომოტივმა" „კოლხეთს" თუ მოუგო, მადაც მოემატება ტიტულისთვის საბრძოლველად — ვაკეში ბევრი გოლი ალბათ არ გავა, ჩვენი ვარაუდით, ჩაკეტილი, ფრთხილი თამაში იქნება, თუმცა, ვინ იცის...

დიდუბის მეტროდან „მარშრუტკები" მცხეთაში 80 თეთრად დადიან და ხვალ კარგი მუშაობაც ექნებათ — შარშანდელი ჩემპიონი თბილისის „დინამოს" მასპინძლობს. მართალია, ახლანდელი „ვიტ ჯორჯია" ძველებურად ველარ უწევს კონკურენციას „დინამოს", მაგრამ „დინამოსთვის" რომ „ვიტ ჯორჯია" ტრადიციულად უხერხული მეტოქეა, ესეც ფაქტია.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 5 | 4 | 1 | 0 | 8:2 | 13 |
| ბორჯომი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:3 | 12 |
| ლოკომოტივი | 5 | 3 | 2 | 0 | 7:2 | 11 |
| დინამო | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 10 |
| ამერი | 5 | 3 | 1 | 1 | 5:4 | 10 |
| ზესტაფონი | 4 | 3 | 0 | 1 | 4:2 | 9 |
| კოლხეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 3:3 | 9 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ბათუმი | 5 | 2 | 1 | 2 | 2:2 | 7 |
| ცხინვალი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:4 | 6 |
| დილა | 5 | 2 | 0 | 3 | 4:5 | 6 |
| კახეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:6 | 6 |
| სოხუმი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |
| სპარტაკი | 5 | 0 | 1 | 4 | 0:4 | 1 |
| ტორპედო | 5 | 0 | 1 | 4 | 0:5 | 1 |
| თბილისი | 5 | 0 | 0 | 5 | 1:11 | 0 |

თბილისი. 17 სექტემბერი. 16 საათი. ამერი

### ამერი — ცხინვალი

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (ორივე ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ბარქაია

ბოლნისი. 17 სექტემბერი. 16 საათი. თამაზ სტეფანია

### სიონი — კახეთი

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

ქუთაისი. 17 სექტემბერი. 17 საათი. ტორპედო

### ტორპედო — სოხუმი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ა. ნონიკაშვილი (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: რ. ტალიაშვილი

გორი. 17 სექტემბერი. 16 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

### დილა — ბათუმი

მსაჯები: ა. მეშკოვი; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ჭელიძე

მცხეთა. 18 სექტემბერი. 16 საათი. არმაზი

### ვიტ ჯორჯია — დინამო

მსაჯები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), კ. გაბრიაძე (ქუთაისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

თბილისი. 18 სექტემბერი. 16 საათი. მიხეილ მესხი

### ლოკომოტივი — კოლხეთი

მსაჯები: ლ. სილაგავა; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე

## გადადებული მატჩები

თბილისი. 20 სექტემბერი. 16 საათი. შევარდენი

### სპარტაკი — თბილისი

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), დ. ხარიტონაშვილი (თბილისი); გ. ასკაროლლი (ქარელი); სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა

თბილისი. 20 სექტემბერი. 16 საათი. ოლიმპი

### ბორჯომი — ზესტაფონი

მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), მ. ელიკაშვილი; ლ. ფანიაშვილი (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში



მალხაზ ასათიანი და მიხეილ აშვეთია

# აშვეთიას ლოკომოტივი აკრძალული აქვს

**კვირას** რუსულ პრემიერლიგაში ჩვენთვის საინტერესო მატჩია: „როსტოვი" — „ლოკომოტივი". მაგრამ ამ შეხვედრამ ქართული ინტრიგა დაკარგა ანუ ახლო მეგობრები, მიხეილ აშვეთია და მალხაზ ასათიანი ერთმანეთის წინააღმდეგ ვერ ითამაშებენ. მიზეზი: ასათიანს ზედმეტი ყვითელი ბარათი დაუგროვდა და დისკვალიფიცირებულია, აშვეთიას თამაში კი კლუბებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით იკრძალება.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ „ლოკომოტივიდან" „როსტოვში" განათხოვრებული აშვეთია სეზონის ბოლოს მოსკოვში დაბრუნდება და, სავარაუდოდ, რკინიგზელებთან ახალ, სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ეს საკითხი ბოლომდე არ გადაწყვეტილა, თუმცა ის კი გავიგეთ, რომ „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობა უახლოეს მომავალში აპირებს ჩვენებურთან მოლაპარაკების დაწყებას. გამორიცხული არაა, ეს სწორედ კვირას, „როსტოვ" — „ლოკომოტივის" მატჩის შემდეგ მოხდეს.

**ბაჩა შალამბერიძე**

# ფასფორთ? ფრობლემ იოხ

**აზერბაიჯანის** ჩემპიონატში მოთამაშე ლეგიონერებზე დაწესებული ლიმიტის გამო იქაური კლუბების ხელმძღვანელებმა მარტივ გამოსავალს მიაგნეს — უცხოელ ფეხბურთელებს მოქალაქეობას სთავაზობენ.

საინტერესოა, რომ ამ წინადადებას უკვე ოთხი ქართველი დათანხმდა — ადრე „გააზერბაიჯანელებულ" გოჩა ტრაპაიძეს და გიორგი ადამიას ახლა ტოვუზის „თურანის" ჩვენებური წყვილი — თენგის სიჭინავა და ზაზა ლაცაბიძე — შეუერთდა.

აზერბაიჯანელები ტრაპაიძეს, ადამიასა და სიჭინავას „გამოუსადეგარ ახალ აზერბაიჯანელებად" მიიჩნევენ, რადგან მათ თავის დროზე საქართველოს ახალგაზრდულ თუ ეროვნულ ნაკრებებში უთამაშიათ და ჩვენი სამეზობლოს ნაკრებს ვერაფრით დაეხმარებიან. აი, ლაცაბიძეს კი ამის შანსი აქვს და ვნახოთ, გამოიყენებს თუ არა.

საკითხავი ისლაა, ასე იოლად თუ შეიძლება აზერბაიჯანის მოქალაქეობის მიღება, მაშინ რაღა აზრი აქვს ლიმიტის დაწესებას?!

**ბაჩა შალამბერიძე**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

## საქართველოს 17 ჩემპიონატი პირველი ლიგა პირველი წრე 5 ტური

**ამერი 2 2:0 მეშახტე**

**რუსთავი 0:1 ზუგდიდი**

**მერანი 0:0 დინამო 2**

**გაგრა 1:0 საგარეჯო**

**მაღაროელი 1:0 ზესტაფონი 2**

**გურია 1:0 ლიახვი**

დღეს

**ჩიხურა — მეშაქრე**

**ვიტ ჯორჯია 2 — თბილისი 2**

**ლოკომოტივი 2 — მესხეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი 2 | 5 | 4 | 1 | 0 | 8:2 | 13 |
| დინამო 2 | 5 | 3 | 1 | 1 | 13:3 | 10 |
| მერანი | 5 | 2 | 3 | 0 | 5:2 | 9 |
| ლოკომოტივი 2 | 4 | 3 | 0 | 1 | 4:1 | 9 |
| ზუგდიდი | 5 | 2 | 2 | 1 | 2:2 | 8 |
| გურია | 5 | 2 | 1 | 2 | 11:7 | 7 |
| მესხეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| საგარეჯო | 5 | 2 | 1 | 2 | 4:4 | 7 |
| რუსთავი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| გაგრა | 5 | 1 | 3 | 1 | 2:3 | 6 |
| მეშახტე | 5 | 1 | 2 | 2 | 7:5 | 5 |
| მეშაქრე | 4 | 1 | 2 | 1 | 3:2 | 5 |
| ჩიხურა | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| მაღაროელი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:11 | 4 |
| ლიახვი | 5 | 1 | 0 | 4 | 5:10 | 3 |
| თბილისი 2 | 4 | 0 | 1 | 3 | 4:12 | 1 |
| ზესტაფონი 2 | 4 | 0 | 0 | 4 | 0:9 | 0 |

საფეხბურთო სკოლა „ნორჩი დინამოელი"
აცხადებს 1989,90,91,92,93,94, 95,96,97,98,99 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა მიღებას.
მიღება ყოველდღე, დილის 10 საათიდან.
*მისამართი:* მაიაკოვსკის 4ა, მუშტაიდის ბაღის საბავშვო რკინიგზის მიმდებარე ტერიტორია.
*ტელეფონი:* 34-07-91, 35-25-99

ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

# რუსები ჩვენს დაღლას ვერ მოესწრნენ

## კახა გოგიჩაიშვილი სამეტაპიან დინამოზე...

*1996 წლის ზაფხული იყო, ევროტურნირები იწყებოდა და ძნელად რომ ვინმეს ეთქვა, თბილისის „დინამო“ უეფას თასზე სამ ეტაპს გაივლისო. უტყუარი საბუთიც არსებობდა: წინა ევროსეზონში დინამოელებმა ბულგარულ „ბოტევთან“ ორივე თამაში წააგეს, თანაც პირველივე საკვალიფიკაციოში და რა პროგრესი უნდა განეცადა გუნდს ერთ წელიწადში?..*

*მაგრამ ცხონებული დავით ყიფიანის გაწვრთნილი „დინამო“ ნოემბრამდე შერჩა ევროპას, განსაკუთრებით კი მოსკოვის „ტორპედოს“ ლამაზად წაქცევით დაგვამახსოვრა თავი.*

*თუ არ გახსოვთ, შეგახსენებთ: იმდროინდელი „დინამო“ საკმაოდ (ვფიქრობთ, ზედმეტადაც) ახალგაზრდული გუნდი იყო, რომელსაც სამ გამოცდილ ფეხბურთელს ყოჩობდა. ამ სამიდან ერთ-ერთი გამორჩეული კი კახა გოგიჩაიშვილი გახლდათ — იმ ნეტარ სამეტაპიან მარშზე და მაშინდელ დინამოურ ამბებზე სწორედ კახა გვიყვება...*

***ილია ნანობაშვილი***



— 1995 წელს „ბოტევთან“ რომ გავვარდით, „დინამოში“ სწორედ მაშინ მოვიდა ახალგაზრდა ფეხბურთელთა თაობა. დემეტრაძე, იაშვილი, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, კიკნაძე... რომელი ერთი ჩამოვთვალო. ის ერთი წელი ამ ბიჭების დალვინებას მოუნდა, მოსამზადებელი ეტაპიც კარგად გავიარეთ და 1996-97 წლების ევროსეზონს აწყობილები შევხვდით.

...ვფიქრობ, ეს „დინამო“ ერთ-ერთი საუკეთესო იყო საბჭოეთის დაშლის შემდგომ წლებში. პირველი ბარიერის გადალახვა არ გაგვჭირვებია, ლუქსემბურგულ „გრევენმახერს“ შინ 4:0 მოვუგეთ და მეორე თამაშს აზრი აღარც ჰქონდა.

...ნორვეგიის „მიოლდესთან“ ძალიან გაგვიჭირდა. თბილისში ჩემი გოლით დავწინაურდით, მერე იაშვილმა მეორე შეაგდო და თითქოს იოლად უნდა მოგვეგო, მაგრამ ნორვეგიელებმა მეორე ტაიმში ერთი ბურთი გაგვიტანეს. სტუმრად მთელი 90 წუთი ომი იყო, ხომ იცით, ნორვეგიული ფეხბურთი რაც არის, წამდაუწუმ ბრძოლა და ათლეტიზმი. „მიოლდეში“ იყო ოლე გუნარ სოლსკიაერი, რომელსაც ჩვენთან უნდა ეთამაშა, მაგრამ მატჩამდე ერთი კვირით ადრე გაიყიდა „მანჩესტერ იუნაიტედში“.

...მერე იყო მოსკოვის „ტორპედო“. სამწუხაროდ, მოსკოვში ორი ყვითელი ბარათის გამო ვერ ვითამაშე, მაგრამ ვინც უყურა, დამეთანხმება — „დინამომ“ ყველანაირად აჯობა რუსებს. მეტიც, 1:0-ზე დიდი ანგარიშითაც შეიძლებოდა მოგება. „ტორპედოს“ თბილისშიც არ დაადგა კარგი დღე, გოჩა ჯამარაულმა ლამაზი გოლი შეაგდო, მოსკოველებმა შემთხვევითი გოლით გაათანაბრეს და მეტი შანსი არც ჰქონიათ — პირიქით, ბოლო წუთებზე სამი-ოთხი მომენტი გავაფუჭეთ, მათ შორის, მეც.

...მოსკოვურ თამაშს ტელევიზორში ვუყურე და რუსი კომენტატორის გაკვირვებული ტონი ახლაც მახსოვს — აი, ახლა დაიღლებიან ქართველები, აი, ახლაო, მაგრამ ეს „ახლა“ არ დაუდგათ. საშინელი ამინდი იყო და ამისიც ეიმედებოდათ, ტექნიკურ ქართველებს გაუჭირდებათო, მაგრამ წეღანაც ვთქვი, რომ სეზონის წინ მაგრად ვიყავით მომზადებულები.

...დავით ყიფიანი ჩვენთვის მარტო მწვრთნელი კი არა, მასწავლებელი და უფროსი მეგობარიც იყო. მან ბევრი რამ გვასწავლა ცხოვრებისეული, ყველა ფეხბურთელთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ყიფიანის ვარჯიშები დატვირთული იყო, მაგრამ არც ისეთი, როგორც ლაპარაკობდნენ — ზომიერება იცოდა.

...1993 წლების „დინამო“, რომელმაც „ლინფილდი“ გააგდო, უფრო ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა და სამწუხაროა, რომ ის შემადგენლობა მალე გაიფანტა. თუმცა 96-ის „დინამოც“ შეტევაზე იყო ორიენტირებული. ყიფიანი-მწვრთნელი თითქმის იგივე იყო, როგორიც ყიფიანი-მოთამაშე — ლამაზი ფეხბურთი უყვარდა. ზოგჯერ თუ ერთი ფორვარდით გვათამაშებდა, ეს, უბრალოდ, ტაქტიკის ამბავი იყო. იმ დროს თავდასხმაში დემეტრაძე, იაშვილი, ხომერიკი და ყიზილაშვილი გვყავდა, მწვრთნელს კარგი არჩევანი ჰქონდა, მაგრამ გააჩნია, ვის და სად ვეთამაშებოდით. მაგალითად, შინ ყოველთვის ორ თავდამსხმელს აყენებდა.

...ბევრი თვლის, „დინამომ“ რომ სამი ეტაპი გაიარა უეფას თასზე, ამან გოგიჩაიშვილის და ჯამარაულის მხრებზე გადაიარაო. რა გითხრათ, ალბათ, მართალია. რაც უნდა იყოს, იაშვილი, დემეტრაძე, კობიაშვილი, კალაძე და სხვები ჯერ ჭაბუკები იყვნენ.

...მეთექვსმეტედფინალი „ბოავიშტასთან“ გვქონდა, თბილისში ჩემი გატანილი პენალტით მოვიგეთ, მთლიანობაშიც კარგად ვითამაშეთ. პორტუგალიაში კი... მსაჯმაც ითამაშა თავისი როლი — უკვე მე-20 წუთზე ზვიად ჯელაძე ორი ყვითელი ბარათის გამო გააძევა. „ბოავიშტას“ ორი შესანიშნავი თავდამსხმელი, ნუნუ გომეში და ჯიმი ჰასელბაინკი ჰყავდა.

და მაინც, 0:5 არ უნდა წაგვეგო, ჩვენსა და „ბოავიშტას“ შორის ასეთი განსხვავება არ იყო.

...იმდროინდელი „დინამო“ ფინანსურად გამართული კლუბი იყო. მაშინ მერაბ ჟორდანია გახლდათ პრეზიდენტი. აი, სწორედ 1996 და 1997 წლებში შევინარჩუნეთ შემადგენლობა, მერე კი დაიწყო ფეხბურთელების წასვლა. გულში ხინჯად მრჩება, რომ უცხოეთის ნორმალურ კლუბში ვერ ვითამაშე. რაღაცნაირად არ მიმართლებდა, უდროო დროს ტრავმებს ვიღებდი. თანაც ისეთი პერიოდი იყო, კარგ უცხოურ გუნდში გადასვლა ჭირდა.

...1995, 1996 და 1997 წლებში მართლაც ფორმაში ვიყავი, უფრო ადრე კი საბჭოეთის ჩემპიონატი მახსენდება კარგად. მოსკოვის „სპარტაკთან“ სტუმრად გატანილ გოლს, აბა, რა დამავიწყებს...

...„დინამოს“ გარდა ნაკრებშიც კარგი თამაშები მქონდა, საუკეთესო კი, ალბათ, ბულგარეთთან მოგებული 2:1 იყო. სამწუხაროდ, მას შემდეგ ნაკრებში ბევრი არეულობა მოხდა, მწვრთნელის მოულოდნელი შეცვლა და მისთანები...

რეალობას რომ ვუყურებ, ახლო მომავალში უკეთესობის იმედი არ მაქვს. სამწუხაროდ, ასეა...

### დინამო უეფას თასზე (1996-97)

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

17 ივნისი

**დინამო — გრევენმახერი (ლუქსემბურგი) 4:0**

1:0, 2:0 ა. იაშვილი (38, 69), 3:0 გოგიჩაიშვილი (77), 4:0 დემეტრაძე (87)

23 ივლისი

**გრევენმახერი (ლუქსემბურგი) — დინამო 2:2**

1:0 შოლტენი (36), 1:1 კიკნაძე (49), 2:1 ლაუერი (55), 2:2 კერძევაძე (71)

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

6 აგვისტო

**დინამო — მიოლდე (ნორვეგია) 2:1**

1:0 გოგიჩაიშვილი (12), 2:0 ა. იაშვილი (19), 2:1 სტავრუმი (69)

20 აგვისტო

**მიოლდე (ნორვეგია) — დინამო 0:0**

**1/32 ფინალი**

10 სექტემბერი

**ტორპედო (რუსეთი) — დინამო 0:1**

0:1 ჯამარაული (37)

24 სექტემბერი

**დინამო — ტორპედო (რუსეთი) 1:1**

1:0 ჯამარაული (49), 1:1 ვოსტროსაბლინი (80)

**1/16 ფინალი**

15 ოქტომბერი

**დინამო — ბოავიშტა (პორტუგალია) 1:0**

1:0 გოგიჩაიშვილი (28პ)

29 ოქტომბერი

**ბოავიშტა (პორტუგალია) — დინამო 5:0**

1:0 ლატაპი (3), 2:0, 3:0 ჰასელბაინკი (25, 56), 4:0 ლატაპი (67), 5:0 ტავარეში (87)



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოიესის უცუდესი



სოფიის ცსკა-მ იორდან ტოდოროვის გოლით იმარჯვა

„ევერტონს“ ევროთასებზე ხუთი გოლი არასოდეს გაეშვა და ბუქარესტში ამასაც მოესწრო. დევიდ მოიესმა თქვა, რომ ეს მატჩი უცუდესი იყო მის სამწვრთნელო კარიერაში და ფანებს მოუბოდიშა.

„დინამო“ ნიკულესკუს თავურით დაწინაურდა, რასაც იობომ უმალ თავითვე გატანით უპასუხა და პირველი ტაიმიც „ევერტონისთვის“ სასიკეთოდ მიილია, მაგრამ შესვენების შემდეგ სტუმართა დაცვა ჩაფლავდა. ზიკუს გოლით გალაღებული „დინამო“ მეტოქის საჯარიმო შეესია და კიდევ სამი გაუტანა.

ბუნდესლიგაში მატჩმოუგებელმა „შტუტგარტმა“ გამარჯვების გემო „დომჟალესთან“ დაიბრუნა. იონ დალ ტომასონმა მალევე დააწინაურა დამხვდურები, თამაშის ბოლოს კი 20 წლის კრისტიან გენტნერმა პირველი შტუტგარტული გოლი მიითვალა.

ტრავმებით გატანჯულმა „ლევერკუზენმა“ სოფიის ცსკა-სთან წააგო. იორდან ტოდოროვმა მასპინძელთა მცველების აბდაუბდა თამაშით ისარგებლა, ფრიცის პასი ჩაჭრა და ჰანს იორგ ბუტს გაუტანა. „ფარმაცევტებს“ მომენტები კი ჰქონდათ, მაგრამ ცსკა-ს მეკარე მაქსიჩმა ბურთს კარში შესვლის ნება არ მისცა.

„ჰამბურგმა“ რაფაელ ვან დერ ვაარტის წყალობით გახსნა ანგარიში, მაგრამ „კოპენჰაგენმა“ სამ წუთში გაათანაბრა. მასპინძელთა მეკარე ვეხტერმა კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი საჯარიმოს გარეთ გააძევა, რომელსაც ვერდენის ფეხი დახვდა და ვეხტერს ბრწყინვალე გოლი გაუტანა.

„რომამ“ სალონიკის „არისი“ გამოიჭირა და ყურებზე ხახვი დააჭრა. ალბერტო აკილანმა სტუმართა მეკარე პურლიოტოპულოსს პირველივე წუთზე გამოატანინა ბურთი კარიდან. პანუჩიმ დუბლი შეასრულა და ორჯერვე თავით გაიტანა, თითო-თითო გოლი კი მონტელამ და ტოტიმ მიითვალეს, ხოლო არისელმა სანიორუმ დაახლოებით 30 მეტრიდან „გასროლით“ იხეირა.

„პალერმომ“ ევროდებიუტი გამარჯვებით აღნიშნა. ეუჯენიო კორინიმ, ისევე როგორც „ინტერს“, „ანართოსისსაც“ საჯარიმო დარტყმით გაუტანა, მერე კი ტერლიცის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ბრეინცამ გამოიყენა. თემურ ქეცბაიამ მეორე ტაიმში ბრწყინვალედ შესრულებული საჯარიმოთი გაქვითა.

დიდიე დეშანის „მონაკომ“ ოლივიე კაპოსა და ემანუელ ადებაიორის გოლებით მოუგო „ტილბურგს“. კრიტიკოსებისგან შეწუხებული დეშანი ამ გამარჯვებით წელში გაიმართა.

„რენის“ ბომბარდირმა ალექსანდრ ფრეიმ ხელობა გაიხსენა და „ოსასუნასთან“ დუბლი შეასრულა, ხოლო იუსუფ ჰაჯიმ მატჩის მიწურულს მესამე გოლი შეაგდო.

ბუქარესტის „რაპიდთან“ ფრეს დასჯერდა „ფეიენოორდი“. როტერდამელთა სტადიონი დასჯილია და უქომაგოდ თამაშმა ეტყობა, გუნდზე იმოქმედა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## უეფას თასი 2005-2006
## პირველი ეტაპი. პირველი მატჩები

კრილია (რუსეთი) 5:3 ალკმაარი (ჰოლანდია)

1:0 ლეილტონი (12), 1:1 ფლარი (18), 2:1 ადამუ (45), 3:1 კოვბა (50), 3:2 პერესი (56), 4:2 გუსინი (62), 4:3 შ. არველაძე (83), 5:3 ბობერი (90)

ალკმაარი: ტიმერი, ოპდამი, დე კლერი, სტეინსონი, ფლარი (ბიუსკერმოულენი 71), ლანძაატი, შარსი (დე ზეუი 71), სეკტიუი (მედუნიანინი 81), ვან გალენი, შ. არველაძე, პერესი

მწვრთნელი: ლუის ვან გაალი

ბრანი (ნორვეგია) 1:2 ლოკომოტივი (რუსეთი)

1:0 ვინტერსი (45), 1:1 რუპოლო (70), 1:2 ლებედენკო (76)

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, პაშინინი, ევსეევი (სენნიკოვი 31), ასათიანი, მამინოვი (ლებედენკო 49), იზმაილოვი, ხოხლოვი (ბიკეი 49), სამედოვი, გურენკო, რუპოლო, ბილიალეტდინოვი

მწვრთნელი: ვლადიმერ ეშტრეკოვი

პალერმო (იტალია) 2:1 ანართოსისი (კვიპროსი)

1:0 კორინი (5), 2:0 ბრიენცა (30პ), 2:1 ქეცბაია (77)

ანართოსისი: გეორგიალიდესი, ხენიდისი, პურსატიდისი, კაცავაკისი, ლუკა, ქეცბაია, კონსტანტინუ, პახერი, პახი (სამარასი 46), მარაგოსი (წიტაიშვილი 46), ფრუსოსი

მწვრთნელი: თემურ ქეცბაია

ოსერი (საფრანგეთი) 2:1 ლევსკი (ბულგარეთი)

ჰამბურგი (გერმანია) 1:1 კოპენჰაგენი (დანია)

სლავია (ჩეხეთი) 2:0 კორკი (ირლანდია)

პაოკ (საბერძნეთი) 1:1 მეტალურგი (უკრაინა)

დინამო (რუმინეთი) 5:1 ევერტონი (ინგლისი)

გრასჰოპერი (შვეიცარია) 1:1 მიუპა (ფინეთი)

ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) 0:0 ბრაგა (პორტუგალია)

ბეერსხოტი (ბელგია) 0:0 მარსელი (საფრანგეთი)

ლევერკუზენი (გერმანია) 0:1 ცსკა (ბულგარეთი)

ცსკა (რუსეთი) 3:1 მიდტიულანდი (დანია)

სეტუბალი (პორტუგალია) 1:1 სამპდორია (იტალია)

სევილია (ესპანეთი) 0:0 მაინცი (გერმანია)

ბაზელი (შვეიცარია) 5:0 შიროკი ბრიეგი (ბოსნია)

ფეიენოორდი (ჰოლანდია) 1:1 რაპიდი (ავსტრია)

ჰიბერნიანი (შოტლანდია) 0:0 დნიპრო (უკრაინა)

რენი (საფრანგეთი) 3:1 ოსასუნა (ესპანეთი)

გიმარაეში (პორტუგალია) 3:0 ვისლა (პოლონეთი)

შტუტგარტი (გერმანია) 2:0 დომჟალე (სლოვენია)

ვოლერენგა (ნორვეგია) 0:3 სტიაუა (რუმინეთი)

გრაცერი (ავსტრია) 0:2 სტრასბური (ჰოლანდია)

ჰალმშტადი (შვედეთი) 1:2 სპორტინგი (პორტუგალია)

მიდლსბრო (ინგლისი) 2:0 ქსანთი (საბერძნეთი)

მაკაბი (ისრაელი) 0:2 პარტიზანი (სერბეთი)

რომა (იტალია) 5:1 არისი (საბერძნეთი)

ბეშიქთაში (თურქეთი) 0:1 მალმიო (შვედეთი)

ლიტექსი (ბულგარეთი) 2:2 გენკი (ბელგია)

ბანიკი (ჩეხეთი) 2:0 ჰერენვენი (ჰოლანდია)

აპოელი (კვიპროსი) 0:1 ჰერტა (გერმანია)

ტეპლიცე (ჩეხეთი) 1:1 ესპანიოლი (ესპანეთი)

მონაკო (საფრანგეთი) 2:0 ტილბურგი (ჰოლანდია)

ვიკინგი (ნორვეგია) 1:0 აუსტრია (ავსტრია)

ბრონდბიუ (დანია) 2:0 ციურიხი (შვეიცარია)

ლანსი (საფრანგეთი) 1:1 გროცლინი (პოლონეთი)

ტრომსიო (ნორვეგია) 1:0 გალათასარაი (თურქეთი)

ბოლტონი (ინგლისი) 2:1 ლოკომოტივი (ბულგარეთი)

შახტარი (უკრაინა) 4:1 დებრეცენი (უნგრეთი)

ზენიტი (რუსეთი) 0:0 აეკ (საბერძნეთი)

## ესპანეთი
### თასი. II ეტაპი

ბასა — სოუდადი 2:1; კორდობა — ხიმნასტიკი 0:3; ლემონა — ლეიდა 0:2; პოსპიტალეტი — პონტევედრა 2:0; ალმანსა — ლას პალმასი 1:2; ბურგოსი — სალამანკა 3:1; ალკალა — ხერესი 2:4; პორტუგალეტე — უნიონი 0:1; ალკოიანო — ფეროლი 3:0; მერიდა — ალბასეტე 2:3; ტერასა — ლოგრონესი 2:3; რაიო — ოვიედო 1:0; აგუილასი — ნუმანსია 1:1 (3:5პ); ალიკანტე — უელვა 0:0 (2:0დ.დ); ზამორა — ვილახოიოსა 1:0; ტენისკა — მურსია 0:0 (3:2პ); სეუტა — ეიბარი 0:0 (0:1დ.დ)



# პრინცი და ფეხბურთი

**აი, რა წერია** ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის გუშინდელ განცხადებაში: ორგანიზაციის პრეზიდენტი ელიზაბეტ დედოფლის შვილიშვილი, პრინცი უილიამი გახდება. თანამდებობაზე პრინცი ბიძამისს, იორკის ჰერცოგს და ასევე პრინცს, ენდრიუს შეცვლის. ეს ამბავი გაისად მაისში მოხდება, ხოლო მანამდე, უფრო ზუსტად კი ასოციაციის თასის ფინალამდე, 13 მაისამდე უილიამი ბიძას საქმიანობაში დაეხმარება.

„ბედნიერი ვარ ამ მისიას რომ ვიტვირთებ, რადგან ფეხბურთი ის სახეობაა, რომლის თამაში და ცქერა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს — განაცხადა პრინცმა ფეხბურთის ასოციაციის ვებგვერდზე, — გარდა ამისა ფეხბურთი ჩვენი ეროვნული თამაშია, რომელიც მილიონობით ადამიანს აღელვებს. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო შარშან ინგლისის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე, რომ გავყევი და იმავეს გაკეთებას გაისად, მსოფლიოს ჩემპიონატზეც ვაპირებ. დარჩენილი თვეების განმავლობაში ფეხბურთის ასოციაციის უკეთ გაცნობა და ბიძაჩემის მრავალმხრივ დახმარება მწადია“

გუშინ ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარე ჯეფ ტომპსონი, ორგანიზაციის აღმასრულებელი შეფი ბრაიან ბორვიკი და აღმასრულებელი დირექტორები დევიდ დევისი და კლარენ ჰაუსი პრინც უილიამს შეხვდნენ და აუხსნეს თუ რა ცხოვრებით ცხოვრობს და რა გეგმებს ისახავს მათი ორგანიზაცია. შეხვედრის შემდეგ ბატონმა ტომპსონმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მათთან პრინც უილიამის მომავალ პრეზიდენტობას ყველა დიდი სიხარულით ხვდება, აქო პრინცი, როგორც თამაშის მოყვარული და ქომაგი და გამოთქვა რწმენა, რომ მისი მოღვაწეობა სპორტის ამ ეროვნული სახეობის განვითარებას დიდად გამოადგება.

# ბაჯოს ინტერში ადგილს სთავაზობენ

**რობერტო ბაჯოს** განცხადებამ საფეხბურთო სამყაროში დაბრუნების შესახებ, „ინტერის“ შეფ მასიმო მორატის აღფრთოვანება გამოიწვია.

ლეგენდარულმა ფეხბურთელმა გუშინ დილით დაადასტურა, რომ ნამდვილად სურს, თავისი მომავალი საყვარელ სპორტს დაუკავშიროს.

„რობისთვის ჩვენი კარი მუდამ ღიაა, მისი გადაწყვეტილება სავსებით ლოგიკურია. ადრე თუ გვიან ეს უნდა მომხდარიყო. ჩვენთვის დიდი პატივი იქნება, თუ არჩევანს „ინტერზე“ შეაჩერებს. დავსხდებით და ერთად გადავწყვეტთ, რა ამპლუა უფრო მისაღები იქნება თავად ბაჯოსთვის“.

მორატისა და ბაჯოს შესანიშნავი ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ, ჯერ კიდევ 1998-2000 წლებიდან, როცა „ცხენისკუდა“ „ინტერის“ ღირსებას იცავდა. თავად რობერტოს კი გუნდის მაშინდელ დამრიგებელ მარჩელო ლაპისთან არცთუ დიდი სიყვარული აკავშირებს.

„დიად აძურელს“ როგორც ჩანს, სამწვრნთელო კარიერა ურჩევნია, მაგრამ ძნელად სავარაუდოა, რომ მორატიმ მას მანჩინის სამუშაო დაუთმოს. მიუხედავად პალერმოში 3-2 მარცხისა, ნავთობის მაგნატი ექსსამპდრიელს ისევ ბოლომდე ენდობა.

**ზურაბ გოცირიძე**

# კიმი არ იმახსოვრებს

**მსაჯმა** კიმ მილტონ ნილსენმა, რომელმაც ოთხშაბათს, მინდვრიდან გააძევა უეინ რუნი, განაცხადა, რომ ცამდე მართალია.

19 წლის მანჩესტერელმა მსაჯს ცხვირპირში დაუკრა დამცინავი ტაში, მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა ყვითელი აჩვენა. კიმმა ულაპარაკოდ გააძევა რუნი.

„სარკასტული მოქცევა დაუშვებელია“, თქვა მსაჯმა რადიოინტერვიუში.

გაძევებას „მანჩესტერის“ ბოსი, სერ ალექს ფერგიუსონიც დაეთანხმა. რუნი კი ბოლო კვირებია პირდაპირ ნადირობდა წითელი ბარათზე, სანაკრებო თამაშშიაც ბეწვზე ეკიდა.

თავის დროზე კიმ მილტონ ნილსენმა სახელი დევიდ ბექემის გაძევებით გაითქვა. ყველას ახსოვს 1998 წლის მსოფლიო თასზე ინგლის-არგენტინის თამაში. თუმცა, ახლა მსაჯი ამბობს, რომ ფეხბურთელებთან თავის ძველ ურთიერთობებს არ იმახსოვრებს და არც რუნის დაუმახსოვრებს სიავეს.

„ყოველ ჯერზე ნულიდან იწყება. ახალი თამაში ახალი ამბავია. მას მინუსს არ ვუწერ“, თქვა კიმმა.

**ირაკლი გამყრელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალია

პაპუნა კედია

## თქვენ გჯერათ ინტერის?

| III ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ინტერი | : | ლეჩე |
| პარმა | : | ემპოლი |
| **ხვალ** | | |
| კალიარი | : | მესინა |
| ფიორენტინა | : | უდინეზე |
| იუვენტუსი | : | ასკოლი |
| ლაციო | : | ტრევიზო |
| ლივორნო | : | რომა |
| რეჯინა | : | კიევო |
| სამპდორია | : | მილანი |
| სიენა | : | პალერმო |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| ლივორნო | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| უდინეზე | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| მილანი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| პალერმო | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ფიორენტინა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ლაციო | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ინტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| რომა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 3 |
| სამპდორია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| კიევო | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| სიენა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ასკოლი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| კალიარი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| მესინა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ლეჩე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| პარმა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| რეჯინა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| ტრევიზო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| ემპოლი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

**„იუვენტუსს"** მესამე ტურში მესამე გამარჯვება უნდა. კაცმა რომ თქვას, რატომაც არა? ხვალ ტურინელები სერია A-ში ახალამობრბლებულ „ასკოლის" ხვდებიან და ძნელი წარმოსადგენია რამ უნდა შეუშალოთ ხელი მორიგი სამი ქულის მიმატებაში, თუმცა არის ერთი მომენტი: ცინიკოსები ამბობენ, აბა, „მილანს" ჰკითხეთ „ასკოლის" დამარცხება ადვილი თუაო. შეგახსენებთ, რომ პირველ ტურში მილანელებმა სწორედ ასკოლიში დაკარგეს ქულები, დატბორილ მოედანზე კოკისპირული წვიმის ქვეშ 1:1 ითამაშეს. და მაინც, „იუვეს" ასალები ქულების კარგვა თითქოსდა არ ჩვევია. მაგალითი გნებავთ? კი ბატონო, „ბებერმა ქალბატონმა" მეორე ტურში კიდევ ერთ ახალდაბრუნებულს, „ემპოლის" მოუგო, თან მის მოედანზე — 4:0.

ხოლო მილანს დატბორილი ასკოლისგან განსხვავებით ხვალ გენუაში ფეხბურთით გამოცდიან. გამოცდა ელით „სამპდორიას" ახალწვეულ ფეხბურთელებსაც, რომელთაც აბა, სად მიეცემათ თავიანთი ოსტატობის დამტკიცების საშუალება თუ არა „მილანთან". რამდენადაც იტალიური საიტები წერენ, საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე მოედანზე იქნება.

„ინტერი" დღეს მასპინძლობს „ლეჩეს". არ ვიცით, იტალიელ მიმომხილველებს ახლოდან როგორი აზრი ექმნებათ, მაგრამ შორიდან „შავლურჯების" საქმე უცნაურად ჩანს. შეიძლება გაუთავებლად ფავორიტი იყო და წარმოუდგენელი, პერიოდულად კომიკური ჩავარდნები მოგდიოდეს? შეგახსენებთ, რომ „ინტერმა" პირველ ტურში „ტრევიზოს" 3:0 გადაუხადა, მეორეში კი პალერმოში 0:3-ს აგებდა და ბოლოსღა გაიტანა ორი გულის მოსაფხანი გოლი. იტალიელი მიმომხილველები წერენ, რომ ყველაფერი მწვრთნელის, რობერტო მანჩინის ბრალია, რომელმაც პირველ მატჩთან შედარებით მეორეში ნახევარმცველები შეცვალა და დაისაჯა კიდეც. სხვა რა გზაა, უნდა დავიჯეროთ, რადგან იტალიელი მიმომხილველები „ინტერს" ახლოდან ადევნებენ თვალს და, ალბათ, სწორად იციან ყველაფერი. ამბობენ, რომ მანჩინი ახლა, „ლეჩესთან" თამაშის წინ შემადგენლობას ისევ ძველებურად შეცვლისო. რაც უნდა ის უქნია, ჩვენი საქმე თვალყურის მიდევნება, ფეხბურთით და მისი მოულოდნელობებით სიამოვნების მიღება და აზრთა გაცვლა გამოცვლაა.

„რომა" ხვალ ლივორნოში თამაშობს. ამბობენ, რომ ეს იქნება ტურის ყველაზე ემოციური მატჩი, რადგან ჯერ ერთი ამ გუნდებს ძველი მეტოქეობა მოსდგამთ და მეორეც, თუ კუნთი დაიამა, მოედანზე თავისი კლუბის წინააღმდეგ გაუთავებლად მოჯანყე შექანებულ ანტონიო კასანოს ვიხილავთ. ვნახოთ...



ანდრეი შევჩენკოსა და ალბერტო ჯილარდინოს (მარჯვნივ) „მილანს" გენუაში მძიმე ბრძოლა ელის

**წინა ტურის სიმბოლური ნაკრები** 3-4-3

შევჩენკო — მილანი
ტრეზეგე — იუვენტუსი
მაკინვა — პალერმო
გასბარონი — სამპდორია
ვიეირა — იუვენტუსი
კორინი — პალერმო
ვოლპი — სამპდორია
მალდინი — მილანი
მანდელი — კიევო
გროსო — პალერმო
დე სანქტისი — უდინეზე

გუნდი: პალერმო
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი (პალერმო)

# ესპანეთი

ლადო ხომერიკი

## ათლეტური სიტყვა და საქმე

| III ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| მალიორკა | : | სოსიედადი |
| ვალენსია | : | დეპორტივო |
| **ხვალ** | | |
| ბეტისი | : | სარაგოსა |
| კადისი | : | ვილიარეალი |
| სელტა | : | რასინგი |
| ესპანიოლი | : | რეალი |
| ბილბაო | : | მალაგა |
| ალავესი | : | ხეტაფე |
| ატლეტიკო | : | ბარსელონა |
| ოსასუნა | : | სევილია |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| დეპორტივო | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| ბილბაო | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| ხეტაფე | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ბარსელონა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| ვალენსია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| სევილია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| რეალი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ოსასუნა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| კადისი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ბეტისი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ესპანიოლი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| სოსიედადი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| სარაგოსა | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ვილიარეალი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ალავესი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ატლეტიკო | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| რასინგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| მალაგა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| მალიორკა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

**მადრიდის** „ატლეტიკოს" კვირას რთული მატჩი ელოდება. „ვისენტე კალდერონის" არენას 2004-05-ის პრიმერას ჩემპიონი „ბარსელონა" მიაკითხავს. „ატლეტიკომ" საამსეზონო პირველობა ცუდად დაიწყო და ჯერჯერობით სატურნირო ცხრილში მე-17 ადგილზეა. თავისიანებს „ბარსასთან" ომში ბულგარელი ნახევარმცველი მარტინ პეტროვი ვერ დაეხმარება. სლავს მარცხენა ფეხი სტკივა და სავარაუდოდ „კალდერონზე" გამოსვლას ვერ მოახერხებს. ფრიად საეჭვოა ტრავმირებული არგენტინელების, არიელ იბაგასას და ლუჩიანო გალეტის თამაშიც. მადრიდელთა მეტოქე კი მშვენიერ გუნებაზეა. „ბარსამ" ამას წინათ საჩემპიონთალიგო ძნელ ჯახში ბრემენის „ვერდერს" მოუგო და, ცხადია, ფარ-ხმლის დაყრას არც „ათლეტებთან" აპირებს. სტუმართა მთავარი დანაკლისი ახალგაზრდა არგენტინელი ლეო მესი იქნება. „მეორე მარადონად" შერაცხულ ფორვარდს საპასპორტო საქმეები ვერ მოუგვარებია და დროებით ესპანურ პრიმერადივიზიონში ბურთაობა აკრძალული აქვს. რახან მადრიდელთა დამრიგებელმა ბიანკიმ ადრე განაცხადა, „ბარსა" და „რეალი" მე არ ვიცი, წლეულს ჩემპიონი „ატლეტიკო" უნდა გავხადოო, ესპანურმა პრესამაც „კალდერონის" ჯახს დიდი საომარი ციებ-ცხელება უწინასწარმეტყველა.

„ვნახოთ, ბიანკი თავის ამბიციურ სიტყვას მოქმედ ჩემპიონ „ბარსელონასთან" საქმით როგორ დაამტკიცებს" — წერდა გუშინდელი „მარკა".

ლიგის პირველ მატჩში „ლიონთან" 3:0-ზე შერცხვენილი მადრიდის „რეალი" 18 სექტემბერს მიგელ ანხელ ლოტინას „ესპანიოლს" სტუმრობს. მიუხედავად ახალწვეული რობინიოს ბრწყინვალე ბურთაობისა, გალაქტიკოსების გუნდის თამაშს საერთო ჯამში შედეგიანს ნაღდად ვერ დავარქმევთ. „რეალმა" ჯერ პრიმერას მეორე ტურში შინ „სელტასთან" 2:3 წააგო, მერე კი საჩემპიონთალიგო შეხვედრაში „ლიონი" სამი ქულით გაახარა. „ესპანიოლთან" თამაშში გუნდის ცენტრში გრავესენის ნაცვლად გუტი ითამაშებს, დანიელს აშკარა კრიზისი აქვს და ვანდერლეი ლუშემბურგომ მისი შეცვლა სათადარიგო გუტიერესით გადაწყვიტა, გვერდით ფლანგზე ბექემი იქნება, ამათ წინ კი ბაპტისტას, რობინიოს, რაულისა და რონალდოს „ჯადოსნური ოთხეული". კატალონიელთაგან სამეფო გუნდის წინააღმდეგ ტრავმირებული რაულ ტამუდო ვერ იბრძოლებს.

შაბათს, პრიმერას მესამე ტურში, „მესტალიაზე" ერთმანეთს „ვალენსია" და „დეპორტივო" შეერკინებიან. ოდესღაც ჩემპიონთა ლიგის რისხვა გუნდებს ამჟამად სარბიელად ოდენ ესპანეთის ჩემპიონატი დარჩათ და ისინიც მთელ ძალ-ღონეს შინაურ პირველობას ახმარენ. „ვალენსიამ" წინა თამაში „სარაგოსასთან" 2:2 ჩაამთავრა და დღეს ცხრილში მეექვსეა, ხოლო „დეპორი" „ატლეტიკოსთან" გამარჯვების მერე მეორე ადგილზეა. სტუმარ-მასპინძელს ტრავმები არ აწუხებს და ესპანური გრანდებიც მზად არიან, ერთმანეთთან უშელავათოდ იომონ.

„ბეტისს" „სარაგოსასთან" ჯახში სატკივარმორჩენილი კაპი დაუბრუნდება, არაგონელთა სესარი კი მუხლის მძიმე ტრავმის გამო სამი კვირით ბურთს და მოედანს არ უნდა გაეკაროს.

„ვილიარეალი" „კადისს" სავარაუდოდ რიკელმეს გარეშე მიაკითხავს. არგენტინელმა დაშავებული მარჯვენა ფეხის გამო ლიგაში „მანჩესტერთან" თამაში გამოტოვა და მომჯობინებას ალბათ 18 სექტემბრამდე ვერ მოახერხებს. პრიმერას აუტსაიდერი „მალიორკა" მეტად მძიმე მდგომარეობაშია. ექტორ კუპერის გუნდს „სოსიედადთან" ტრავმათა გამო ვიქტორი, პერეირა, გუტიარესი, ტუსიო და კორტესი ვერ დაეხმარებიან, ფარინოსი კი სანქცირებულია. „სოსიედადი" გასვლით მატჩში ლაბაკას და ბრეშეს მოისაკლისებს. ფერნანდო ვასკესის ლიდერ „სელტას" „რასინგთან" ალბათ გრიპით გატანჯული სოუზა დააკლდება.

**წინა ტურის სიმბოლური ნაკრები** 4-4-2

ეტოო — ბარსელონა
ლუის გარსია — ესპანიოლი
კანობიო — სელტა
კაპდევილა — დეპორტივო
ხონათანი — კადისი
ნუნიესი — სელტა
პუიოლი — ბარსელონა
ო. ლოპესი — ბეტისი
ოსიო — სევილია
ბარკერო — სოსიედადი
კამენი — ესპანიოლი

გუნდი: სელტა
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი (სელტა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინგლისი

ვაჟა ხუციშვილი

# ლივერპულს წითელი ეშმაკები მოეწვევიან

| VI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ასტონ ვილა | : | ტოტენჰემი |
| ჩარლტონი | : | ჩელსი |
| ფულემი | : | ვესტ ჰემი |
| პორტსმუთი | : | ბირმინგემი |
| სანდერლენდი | : | ვესტ ბრომვიჩი |
| **ხვალ** | | |
| ლივერპული | : | მანჩესტერი |
| ბლექბერნი | : | ნიუკასლი |
| უიგანი | : | მიდლსბრო |
| სიტი | : | ბოლტონი |
| **ზეგ** | | |
| არსენალი | : | ევერტონი |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 5 | 5 | 0 | 0 | 10:0 | 15 |
| ჩარლტონი | 4 | 4 | 0 | 0 | 8:1 | 12 |
| სიტი | 5 | 3 | 2 | 0 | 7:4 | 11 |
| მანჩესტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 10 |
| ბოლტონი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 8 |
| ტოტენჰემი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:2 | 8 |
| ვესტ ჰემი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:3 | 7 |
| მიდლსბრო | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| არსენალი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:4 | 6 |
| უიგანი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:3 | 6 |
| ლივერპული | 3 | 1 | 2 | 0 | 1:0 | 5 |
| ბლექბერნი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | 5 |
| ფულემი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:7 | 5 |
| ასტონ ვილა | 5 | 1 | 2 | 2 | 4:8 | 5 |
| პორტსმუთი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | 4 |
| ბირმინგემი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| ვესტ ბრომვიჩი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:10 | 4 |
| ევერტონი | 4 | 1 | 0 | 3 | 1:4 | 3 |
| ნიუკასლი | 5 | 0 | 2 | 3 | 1:7 | 2 |
| სანდერლენდი | 5 | 0 | 0 | 5 | 2:9 | 0 |

**„ლივერპული“** ხვალ უმასპინძლებს „მანჩესტერ იუნაიტედს“, რომელიც 2001 წლის შემდეგ შინ არ დაუმარცხებია. „ვილიარეალთან“ მატჩში დაშვებული გაბრიელ ჰაინცე „ეშმაკების“ ტრავმირებულ ფეხბურთელთა ნუსხას შეემატა, იგი სეზონის დიდ ნაწილს გამოტოვებს. არგენტინელი „ვილეარეალთან“ მატჩისას იან კრომკამპთან შეჯახებისას დაშავდა. ლივერპულში ვერ ითამაშებენ გარი ნევილი, როი კინი, კვინტონ ფორჩუნი, უელსი ბრაუნი და ლუი საა.

ლონდონური დერბიში ცხრილის ლიდერები დაეჯახებიან. „ჩარლტონს“ და „ჩელსის“ ჯერ ქულა არ დაუკარგავთ. ჩარლტონელებს ალექსეი სმერტინი ვერ დაეხმარება, რადგან „ჩელსისგან“ ერთი წლით ითხოვეს და კონტრაქტით თავისი გუნდის წინაალმდეგ თამაშის უფლება არა აქვს.

ბირმინგემის „ასტონ ვილა“ „ტოტენჰემს“ გევინ მაკკანის გარეშე დაუხვდებიან, რომელსაც სავარაუდოდ ერიკ ჯემბა-ჯემბა შეცვლის. მასპინძელთა გუნდში ეგებ ვილფრედ ბუმასა და ჯეიმს მილნერის დებიუტი შედგეს.

სტუმრებს დისკვალიფიცირებული აჰმედ მიდო და ტრავმირებული ნოე პამაროტი დააკლდებათ.

„პორტუსმუთის“ გამოკეთებული ჯონ ვიაფარა დაუბრუნდა, სერბმა ზვონიმირ ვუკიჩი კი პრემიერლიგურ დებიუტს ელის.

„ბირმინგემი“ პორტსმუთში ემილ ჰესკის და მარიო მელხიოტის ჩაიყვანს, მაგრამ მათი თამაში საეჭვოა. ნახევარმცველი სტეფან კლემენსი კი დაშავდა და ერთვიანი მკურნალობა გამოუწერეს.

„ფულემს“, რომელიც „ვესტ ჰემს“ მასპინძლობს, ექვსი ტრავმირებული ფეხბურთელი ჰყავს: მარკ კროსლი, იაროსლავ დრობნი, ალენ გომა, სილვენ ლეგვინსკი, იან პირსი და მარკ პემბრიჯი.

„სანდრლენდს“, ჯერ თამაში რომ არ მოუგია, გამოჯანმთელებული მცველი ალნ სტაბსი დაუბრუნდა „შავი კატები“ „ვესტ ბრომვიჩს“ დაუხვდებიან. სტუმართა ფორვარდ ჯეფ პორსფლდის თამაში საეჭვოა. მას რობი ერნშოუ ან დიომანსი კამრა შეცვლის.



გაბრიელ ჰაინცე ფეხბურთს დიდი ხნით ჩამოშორდა

წინა ტურში „არსენალის“ მძლეველი „მიდლსბროს“ „უიგანთან“ ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი, გაისკა მენდიეტა, ნემეტი და კრის რიგოტი დააკლდება. ხოლო ფაბიო როჩემბაკი, რომელმაც უეფას თასის მატჩი გამოტოვა, ითამაშებს.

„ბლექბერნი“ „ნიუკასლს“, კრეიგ ბელამი კი ყოფილ გუნდს დაეჯახება. უელსელმა ფორვარდმა ტრავმის გამო სეზონის დასაწყისი გამოტოვა და ხვალ ალბათ გრემ სუნესის გამწარებას შეეცდება.

**წინა ტურის სიმბოლური ნაკრები — 4-3-3**

| | |
|---|---|
| დ.ბენტი | ჩარლტონი |
| იაკუბუ | მიდლსბრო |
| ჰარვუდი | ვესტ ჰემი |
| რეო-კოკერი | ვესტ ჰემი |
| მერფი | ჩარლტონი |
| ესიენი | ჩელსი |
| კედრუ | მიდლსბრო |
| ანშო | უიგანი |
| ჯერემი | ჩელსი |
| ვინალი | პორტსმუთი |
| შვარცერი | მიდლსბრო |

გუნდი: მიდლსბრო

მწვრთნელი: სტიუარტ პირსი (სიტი)

# გერმანია

ვაჟა ხუციშვილი

# ბაიერნი რეკორდს ეპოტინება

| V ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ვერდერი | : | დორტმუნდი |
| არმინია | : | ლაუტერნი |
| მაინცი | : | შტუტგარტი |
| ბაიერნი | : | ჰანოვერი |
| ვოლფსბურგი | : | ნიურნბერგი |
| კიოლნი | : | გლადბახი |
| ჰამბურგი | : | აინტრახტი |
| **ხვალ** | | |
| დუისბურგი | : | ლევერკუზენი |
| შალკე | : | ჰერტა |

**ლევერკუზენის** „ბაიერის“ მწვრთნელი კლაუს აუგენტალერი უმუშევარი დარჩა. იგი გუშინ გაათავისუფლეს. „ფარმაცევტებს“ დროებით რუდი ფიოლერი და აუგენტალერის თანაშემწე პეტერ ჰერმანი ჩაიბარებენ.

ლევერკუზენელებს ასე უხეიროდ ჩემპიონატი არასოდეს დაუწყიათ. ამას უეფას თასზე საშინაო მარცხიც მიემატა და აუგენტალერმა სამუშაო დაკარგა. „ბაიერი“ ხვალ „დუისბურგს“ ეწვევა, რომელსაც ჯერ თამაში არ მოუგია. მასპინძლებს ტრავმირებული ნახევარმცველი მარკუს ჰაუსვაილერი დააკლდებათ.

„ბაიერნს“ გასული სეზონის ჩათვლით მიჯრით 13 მატჩი აქვს მოგებული და დღეს მეთოთხმეტესაც თუ მოიგებს, 1981 წლის რეკორდს გააუმჯობესებს. საამისოდ მიუნხენელებს ჯერაც დაუმარცხებელი „ჰანოვერის“ ძლევა მართებთ, ოღონდ მიხაელ ბალაკის გარეშე ითამაშებენ. „უბალაკობა არ უნდა დააგვეტყოს“ — თქვა ფელიქს მაგათმა.

„შალკეს“ პატრონმა რუდი ასაუერმა პსვსთან წაგებული მატჩის შემდეგ განაცხადა: „გუნდმა ძალიან ცუდად ითამაშა და ამას არ შევეგუები. მწვრთნელ-ფეხბურთელებს აუცილებლად უნდა დაველაპარაკო: პატრონის გულის მოსაგებად „შალკემ“ ბერლინის „ჰერტას“ უნდა სძლიოს.“

ბრემენელი „მუსიკოსები“ დორტმუნდელ „შავ-ყვითლებს“ დაუხვდებიან. ბერტ ვან მარვიიკის „ბორუსია“ წლეულს შარშანდელზე



